

შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/27 27 მაისი 2010 წ.

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №01-01/68 – (უნივერსიტეტის სახელწოდების შეცვლა)
2. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 – (უნივერსიტეტის სახელწოდების შეცვლა)

თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი

თბილისი

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი

პრეამბულა

ეთიკის კოდექსი ადგენს უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს. მისი სრულფასოვანი დაცვა და შესრულება უნივერსიტეტის მდგრადობისა და წარმატების აუცილებელი პირობაა.

ეთიკის კოდექსი ადგენს ქცევის წესებს, რომლებიც ემყარება საერთაშორისო კონვენციებით და საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

აღნიშნული კოდექსი უნივერსიტეტის პერსონალს ეხმარება იმ ეთიკური საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას მათი მუშაობის პერიოდში. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები ვალდებული არიან იმოქმედონ ეთიკური პრინციპების შესაბამისად. უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი ზომები იქნება მიღებული ნებისმიერი არაეთიკური ქმედების წინააღმდეგ. უნივერსიტეტი რეგულარულ მონიტორინგს გაუწევს ეთიკის კოდექსის განუხრელად დაცვას.

მუხლი 1.

უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა სწავლების, აღზრდის, სწავლის, აკადემიური კვლევის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროებში.

ბ) **თანასწორუფლებიანობა**, რომლის შესაბამისად უნივერსიტეტში დასაქმებული ყველა პირი თავისი საქმიანობაში თანასწორუფლებიანია. უნივერსიტეტი პატივს სცემს უნივერსიტეტის პერსონალის თანასწორუფლებიანობას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური კუთვნილების, მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის და სხვა გარემოებათა მიუხედავად. უნივერსიტეტი ამკვიდრებს არადისკრიმინაციულ გარემოს. უნივერსიტეტში დასაქმებულ ყველა პირს თანაბარი უფლება აქვს თავისი პროფესიული ზრდისათვის გამოიყენოს უნივერსიტეტის შესაძლებლობები.

უნივერსიტეტში დასაქმებული ყოველი პირი ვალდებულია პატივი სცეს სხვათა უფლებების დაცვას და განსხვავებულ მსოფლმხედველობას.

გ) **გამჭვირვალობა**, რომლის შესაბამისად უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება საჯაროა. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. გამჭვირვალობის პრინციპი, არ გამოირიცხავს, გარკვეულ ვითარებაში, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას.

დ) **სამართლიანობა და კეთილსინდისიერება**. სამართლიანობის პრინციპი გულისხმობს პიროვნების პატივისცემას და მისადმი სამართლიან მოპყრობას. ის საფუძვლად უდევს უნივერსიტეტში არსებულ სტანდარტებს და პროცედურებს სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან მიმართებით. უნივერსიტეტის საქმიანობა დაფუძნებული უნდა იყოს კეთილსინდისიერებაზე, რაც გამოიხატება თითოეული ადამიანის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობის პირნათლად შესრულებით.

ე) **ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა**. ანგარიშვალდებულება წარმოადგენს უნივერსიტეტის საქმიანობის აუცილებელ ღირებულებას. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, უმაღლესი განათლების კანონისა და უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია განხორციელებულ საქმიანობაზე.

ვ) **მიუკერძოებლობა**, რომლის შესაბამისად უნივერსიტეტის პერსონალი მიუკერძოებელი უნდა იყოს

თავის საქმიანობაში. აკადემიურმა პერსონალმა სტუდენტთა შეფასებისას იხელმძღვანელოს სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპის შესაბამისად. მათ მიერ მიცემული შეფასება დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ აკადემიურ მოსწრებაზე და არა პიროვნულ მახასიათებლებზე. აკადემიურმა პერსონალმა არ უნდა ჩააყენოს რომელიმე სტუდენტი სხვებთან შედარებით პრივილეგიურ ან უარეს მდგომარეობაში.

მუხლი 2.

აკადემიურ პერსონალს, მასწავლებლებს, მოწვეულ პედაგოგებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და დამხმარე პერსონალს შორის უნდა არსებობდეს ურთიერთპატივისცემაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. დაუშვებელია უფლებათა მართლსაწინააღმდეგო გამოყენება. უნივერსიტეტში დასაქმებულ პირებს შეუძლიათ დაუბრკოლებლად ისარგებლონ უნივერსიტეტის კუთვნილი ინვენტარით. დაუშვებელია მისი გამოყენება მხოლოდ კონკრეტული თანამდებობის პირის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია კანონით ან უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 3.

აკადემიური (მათ შორის მოწვეული) და მასწავლებელთა პერსონალი ვალდებულია:

1. შეასრულოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო ბრძანებები და სხვა სახის გადაწყვეტილებები, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კათედრის (მიმართულების) სხდომის გადაწყვეტილებები;
2. დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი და მართვის ორგანოების ის გადაწყვეტილებები, რაც უკავშირდება პედაგოგიურ მოღვაწეობას და შრომით დისციპლინას;
3. მისცეს სტუდენტებს სათანადო ცოდნა და დაეხმაროს მათ ცხოვრებაში გამოსადეგი პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს შორის მოსაზრებათა და შეხედულებათა გაცვლას, რათა ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, გამოირიცხოს სხვადასხვა უსაფუძვლო დაპირისპირება;
4. არ დაუშვას სტუდენტების მდგომარეობის გამოყენება პირადი გამორჩენის მიზნით;
5. შეიმუშაოს სასწავლო კურსების თემატიკა, სტრუქტურა და განაახლოს იგი შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად;
6. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული დოკუმენტაციის ჯეროვანი დაცვა;
7. არ გაამჟღავნოს უნივერსიტეტის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა უნივერსიტეტში საქმიანობის შედეგად;
8. მთლიანად მოახმაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო დრო უნივერსიტეტის ინტერესებს;
9. ჩაატაროს ლექცია-სემინარები პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების ჯეროვანი და სრული გამოყენებით;
10. იყოს კოლეგიალური და კორექტული კოლეგებთან მიმართებაში, არ დაუშვას კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობა და გაღვივება. კოლეგის მიმართ შენიშვნის გამოთქმისას იყოს სამართლიანი და ობიექტური, კრიტიკა არ უნდა შეიცავდეს უხემ და მიუღებელ კომენტარებს. დაუშვებელია კოლეგის დამცირება და შეურაცხყოფა;
11. თავი შეიკავოს უნივერსიტეტის მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისგან, ასევე ისეთ საქმიანობაში ჩართვისაგან, რაც შეუფერებელია უნივერსიტეტისათვის;
12. არ დაუშვას ადმინისტრაციის პერსონალის მდგომარეობის პირადი ინტერესისათვის გამოყენება. იღვაწოს ისეთი შრომითი გარემოს შექმნისათვის, რომელშიც გამოირიცხება ცილისწამება დაუსაბუთებელი განცხადებები და კომენტარები კოლეგის სამსახურებრივი საქმიანობის და პირადი ცხოვრების შესახებ;

13. არ მიიღოს საჩუქარი და არ წაახალისოს ვინმე ასეთ ქმედებაზე, თუ ეს უკავშირდება მათი მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას;
14. არ გამოხატოს მუქარა, შეურაცხყოფა ან დამცირება სტუდენტების ან კოლეგების მიმართ, არ დააკნინოს კოლეგის პროფესიონალიზმი, ასევე ვალდებულია არ დაუშვას სტუდენტების მხრიდან კოლეგის მიმართ გამოთქმული შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელება;
15. დაიცვას სამეცნიერო მუშაობის ეთიკური ნორმები, არ დაუშვას პლაგიატობა, სხვისი ნაშრომის მითვისება. გამოავლინოს ასეთი შემთხვევები და მიიღოს შესაბამისი ზომები მსგავსი ქმედებების აღსაკვეთად;
16. არ დაამახინჯოს კოლეგის შეხედულება საკუთარი პოზიციის გამყარების მიზნით;
17. თავაზიანად და კორექტულად მოეპყრას სტუდენტებსა და უნივერსიტეტში მოსულ მოქალაქეებს;
18. წესრიგში ჰქონდეს სამუშაო ადგილი, დაიცვას სისუფთავე უნივერსიტეტში და მის ტერიტორიაზე;
19. არ მოწიოს თამბაქო უნივერსიტეტში, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;
20. არ მოვიდეს უნივერსიტეტში არა ფხიზელ მდგომარეობაში;
21. არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც ჩრდილს მიაყენებს უნივერსიტეტის საქმიან რეპუტაციას;
22. არ დაუშვას ლექცია-სემინარის არასაპატიო მიზეზით გაცდენა. უზრუნველყოს ლექცია-სემინარების დროულად დაწყება და დამთავრება. ლექციაზე შევიდეს დროულად, ჯეროვან დონეზე მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული. არ დაუშვას ლექციის დროზე ადრე დამთავრება ან გაცდენა სერიოზული მიზეზის გარეშე. დანიშნულ დროს, დადგენილი წესის შესაბამისად, შეაფასოს ყველა გამოცხადებული სტუდენტის ცოდნა;
23. არ გამოიყენოს ლექცია პოლიტიკური აგიტაციისათვის;
24. თავი შეიკავოს უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისაგან, ან ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის საუნივერსიტეტო მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას;
25. დროულად აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
26. უნივერსიტეტში დასაქმებული პირი მასმედიის საშულებით კომენტარის გაკეთებისას თავისუფალია. თუ კომენტარი კეთდება უნივერსიტეტის სახელით, ვალდებულია მოახდინოს ეთიკისა და პროფესიული სტანდარტების უმაღლეს დონეზე გამომყდავენება. თუ პირი კომენტარს აკეთებს საკითხზე, რომელიც არ ეხება მის პროფესიულ საქმიანობას, მან უნდა აღნიშნოს, რომ კომენტარი კეთდება პირადად მისი პოზიციიდან და არა უნივერსიტეტის სახელით.

მუხლი 4.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ვალდებულია:

1. უნივერსიტეტში შექმნას სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო;
2. პატივს სცემდეს უნივერსიტეტს და მის ტრადიციებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს მოეპყრას სამართლიანად და პატივისცემით. ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს თანამშრომლებისა და სტუდენტების დისკრიმინაციას სქესის, ასაკის, რასობრივი, ეთნიკური, პოლიტიკური ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე;
3. არ ამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა;
4. დროულად, ხარისხიანად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მისთვის მინდობილი სამუშაო;
5. დამქირავებლის მოთხოვნისთანავე, წარადგინოს ანგარიში განხორციელებული სამუშაოს შესახებ თუ კანონმდებლობით, წესდებით და შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი;

6. კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, უნივერსიტეტში მის საქმიანობასთან დაკავშირებული მოქმედი წესები;
7. გაუფრთხილდეს დამსაქმებელის ქონებას, უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული დოკუმენტაციის ჯეროვანი დაცვა;
8. მოახმაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო დრო უნივერსიტეტის ინტერესებს;
9. შეასრულოს მისთვის დაკისრებული სამუშაო პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების ჯეროვანი და სრული გამოყენებით;
10. იყოს კოლეგიალური და კორექტული კოლეგებთან ურთიერთობაში. არ დაუშვას კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობა და გაღვივება. კოლეგის მიმართ შენიშვნის გამოთქმისას იყოს სამართლიანი და ობიექტური, კრიტიკა არ უნდა შეიცავდეს უხეშ და მიუღებელ კომენტარებს. დაუშვებელია კოლეგის დამცირება და შეურაცხყოფა;
11. არ დაუშვას ადმინისტრაციული პერსონალის მიერ აკადემიური პერსონალის მდგომარეობის პირადი ინტერესისათვის გამოყენება. დაუშვებელია ცილისწამება, დაუსაბუთებელი განცხადებები და კომენტარები კოლეგის სამსახურებრივი საქმიანობის და პირადი ცხოვრების შესახებ;
12. არ გამოხატოს მუქარა, შეურაცხყოფა ან დამცირება სტუდენტების ან კოლეგების მიმართ;
13. თავაზიანად და კორექტულად მოეპყრას სტუდენტებსა და უნივერსიტეტში მოსულ მოქალაქეებს;
14. არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც დააბრკოლებს საგანმანათლებლო პროცესს ან მისი შემადგენელი ნაწილის ფუნქციონირებას;
15. არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც ჩრდილს მიაყენებს უნივერსიტეტის საქმიან რეპუტაციას;
16. არ მიიღოს საჩუქარი და არ წაახალისოს ვინმე ასეთ ქმედებაზე, თუკი ეს უკავშირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას;
17. წესრიგში ჰქონდეს სამუშაო ადგილი, დაიცვას სისუფთავე. უნივერსიტეტში და მის ტერიტორიაზე;
18. არ მოსწიოს თამბაქო უნივერსიტეტში, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;
19. არ მოვიდეს უნივერსიტეტში არა ფხიზელ მდგომარეობაში;
20. არ დაავგიანოს სამსახურში ან არ გააცდინოს ის საპატიო მიზეზის გარეშე.

მუხლი 5.

უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება შინაგანაწესით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

მუხლი 6.

1. ეთიკის კოდექსს ამტკიცებს რექტორი. მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს რექტორის ბრძანებით

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №01-01/68 – (უნივერსიტეტის სახელწოდების შეცვლა)
2. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 – (უნივერსიტეტის სახელწოდების შეცვლა)